თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 9

ქ. თერჯოლა 02. 08.2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. გოჩა ვერულაშვილი, 4. გრიგოლ გიორგაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. მანუჩარ ფანჩულიძე, 7. როლანდი მესხი, 8. ფრიდონ გვენეტაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. რამინი რობაქიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. კობა კირკიტაძე

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 10 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282220747, 26.07.2022);

   მომხს.: თ. ქოჩიაშვილი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282219355, 12.07.2022 წ.).

   მომხს.: თ. ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში შევიდა ცვლილება და თერჯოლის მუნიციპალიტეტის დაფინანსება გაიზარდა 261.0 ათასი ლარით. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე შევიდა ცვლილება თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში 2022 წლის 14 ივლისის N№28.28221951 ბრძანებით.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზრდება - 261.0 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 26053.8 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 18.4 ათასი ლარით (გრანტი, სატენდერო ეკონომია).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 279.4 ათასი ლარით (გრანტი).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 18.4 ათასი ლარით. გზების კეთილმოწყობა. სოფელ გოგნში ტყიბულთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის დაფინანსება შემცირდა 18.4 ათასი ლარით (სატენდერო ეკონომია).

ხარჯვითი ნაწილი გზების კეთილმოწყობის დაფინანსება გაიზარდა 279.4 ათასი ლარით. სოფ. სარბევში გზის 400 მეტრიანი მონაკვეთის მოწყობა ბეტონის საფარით.

აზრი გამოთქვეს: მანუჩარ ფანჩულიძემ, დავით გოგბერაშვილმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი